

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის

ანგარიშგებები დამოუკიდებელი აუდიტორის

დასკვნასთან ერთად

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია.....	5
2. მომზადების საფუძველი.....	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	10
5. ამონაგები რეალიზაციიდან.....	11
6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება.....	11
7. კომერციული ხარჯები.....	12
8. ადმინისტრაციული ხარჯები.....	12
9. საპროცენტო შემოსავალი.....	12
10. საპროცენტო ხარჯები.....	12
11. ძირითადი საშუალებები.....	13
12. არამატერიალური აქტივები.....	14
13. ინვესტიციები.....	15
14. გაცემული სესხები.....	15
15. მარაგები.....	15
16. სავაჭრო მოთხოვნები.....	16
17. ფული და ფულის ექვივალენტები.....	16
18. კაპიტალი.....	16
19. მიღებული სესხები.....	17
20. გადასახადები.....	17
21. სავაჭრო ვალდებულებები.....	18
22. სხვა მიმდინარე ვალდებულებები.....	18
23. პირობითი ვალდებულებები.....	18
24. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან.....	18
25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	18

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ.....	20
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	21
3. სუბიექტის განვითარების გეგმები.....	22
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.....	23
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ.....	23
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.....	23
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	23

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „თ & რ დისტრიბუშენის“ ხელმძღვანელობას და მეწილეებს

მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე კონსოლიდირებულ მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის შედეგებს ამ თარიღით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის, მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის მოქმედი ფინანსური ანგარიშგების მომზადების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ელემენტები რისი აუდიტიც ჩავატარეთ:

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
- კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას იმ საანგარიშგებო წლისთვის რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს;
- კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას იმ საანგარიშგებო წლისთვის რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს;
- კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას იმ საანგარიშგებო წლისთვის რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს; და
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ (ასს-ები) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დამატებით აღწერილია წინამდებარე ანგარიშში: აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

ჩვენ გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები არის საკმარისი და შესაფერისი მოსაზრების გამოსახატად.

სხვა საკითხები

ჯგუფმა გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტისა ზედამხედველობის სამსახურის სარეკომენდაციო მითითებით გათვალისწინებული მიდგომა 2020 წლის მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებაში და წარადგენს მხოლოდ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას რადგან სხვაობები ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებებს შორის არის არაარსებითი.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 19-24 გვერდებზე) მოიცავს კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ, კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაფერის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

თუ ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება არსებით უზუსტობას შეიცავს, მოგვეთხოვება ამ ფაქტის ანგარიშგება. არ აღმოგვიჩენია რაიმე საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია იმ საანგარიშგები წლის შესახებ, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების თანმიმდევრულად; და
- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მის ფასს-ის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ვალდებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა ჯგუფს განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძველად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფის ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ს შესაბამისი აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არგამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების მიზანშეწონილობაზე, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით უზუსტობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობის უნარი. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნა ეფუძნება დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის, როგორც უწყვეტი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით ჯგუფის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

30 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო.



სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით ჯგუფის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)



ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

30 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო.

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები რეალიზაციიდან	5	156,333	164,341
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	6	(147,541)	(153,507)
საერთო მოგება		8,792	10,834
კომერციული ხარჯები	7	(2,051)	(2,592)
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(4,571)	(5,510)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(70)	(129)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		182	129
საოპერაციო მოგება		2,282	2,732
ვალუტის გადაფასება		1	-
საპროცენტო შემოსავალი	9	444	469
საპროცენტო ხარჯი	10	(292)	(419)
მოგება დაბეგვრამდე		2,435	2,782
მოგების გადასახადის ხარჯი		(111)	(118)
წლის სრული შემოსავალი		2,324	2,664

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 30 სექტემბერს:

სოფიო ავალიანი
დირექტორი

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები რეალიზაციიდან	5	156,333	164,341
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	6	(147,541)	(153,507)
საერთო მოგება		8,792	10,834
კომერციული ხარჯები	7	(2,051)	(2,592)
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(4,571)	(5,510)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(70)	(129)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		182	129
საოპერაციო მოგება		2,282	2,732
ვალუტის გადაფასება		1	-
საპროცენტო შემოსავალი	9	444	469
საპროცენტო ხარჯი	10	(292)	(419)
მოგება დაბეგვრამდე		2,435	2,782
მოგების გადასახადის ხარჯი		(111)	(118)
წლის სრული შემოსავალი		2,324	2,664

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 30 სექტემბერს:



სოფიო ავალიანი
დირექტორი



სს „თ & რ დისტრიბუშენ“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	4,281	2,028
არამატერიალური აქტივები	12	51	25
ინვესტიციები	13	429	399
გაცემული სესხები	14	2,181	2,370
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,942	4,822
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	15	3,137	1,211
გაცემული სესხების მიმდინარე ნაწილი	14	180	164
გადახდილი ავანსები		107	279
სავაჭრო მოთხოვნები	16	146	55
სხვა მიმდინარე მოთხოვნები		183	28
ფული და ფულის ექვივალენტები	17	2,159	534
სულ მიმდინარე აქტივები		5,912	2,271
სულ აქტივები		12,854	7,093
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	18	-	-
გაუნაწილებელი მოგება	18	6,970	5,279
სულ კაპიტალი		6,970	5,279
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	19	960	15
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		960	15
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	19	3,346	1,037
საგადასახადო ვალდებულება	20	495	433
მიღებული ავანსები		105	102
სავაჭრო ვალდებულებები	21	794	157
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	22	184	70
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,924	1,799
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		12,854	7,093

5-18 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2018	-	3,283	3,283
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	2,664	2,664
დივიდენდების გამოცხადება	-	(668)	(668)
31 დეკემბერი 2019	-	5,279	5,279
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	2,324	2,324
დივიდენდების გამოცხადება	-	(633)	(633)
31 დეკემბერი 2020	-	6,970	6,970

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მოგება დაბეგვრამდე	2,435	2,782
შესწორებები:		
ცვეთა და ამორიზაცია	257	454
ფინანსური შემოსავალი	(444)	(469)
ფინანსური ხარჯი	292	419
უიმედო და საეჭვო ვალების ხარჯი	26	24
საკურსო მოგება/(ზარალი)	(1)	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები აქტივებსა და ვალდებულებებში მომხდარ ცვლილებებამდე	2,565	3,210
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები საქონელში	(2,132)	(101)
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებებში	(272)	52
ცვლილებები წინასწარ გადახდილ თანხებში	172	306
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში	-	28
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	752	179
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	62	356
ცვლილება მიღებულ ავანსებში	3	(123)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	1,150	3,907
გადახდილი მოგების გადასახადი	(111)	(118)
გადახდილი პროცენტი	(292)	(419)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	747	3,370
საინვესტიციო აქტივობები		
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(2,299)	(210)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(31)	-
გაცემული სესხის უკან მიღება	173	132
მიღებული პროცენტი	444	469
ინვესტიციები	(30)	(70)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,743)	321
ფინანსური აქტივობები:		
გადახდილი დივიდენდები	(633)	(668)
აღებული/(დაფარული) სესხი	3,254	(3,438)
წმინდა მიღებული/(გამოყენებული) ფული საფინანსო საქმიანობიდან	2,621	(4,106)
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)	1,625	(415)
ფული და ფულადი ნაკადები პერიოდის დასაწყისში	534	951
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებში, წმინდა	-	(2)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	2,159	534

1. კორპორატიული ინფორმაცია

თ & რ დისტრიბუშენ (შემდგომში კომპანია) როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, დაარსდა საქართველოში 2006 წლის 15 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 202311738

ძირითადი საქმიანობა. კომპანია ისევე როგორც მისი შვილობილები ძირითადად ჩართულია საცალო რეალიზაცია/დისტრიბუციაში. ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სიგარეტების და სანთებლების დისტრიბუცია.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, ჭირნახულის ქ. N2 კომპანიის სათაო ოფისი და საქმიანობის ადგილი არის იგივე მისამართზე.

ჯგუფის სტრუქტურა. კომპანიის შვილობილებს წარმოადგენენ შემდეგი საწარმოები (ერთად „ჯგუფი“):

შვილობილი კომპანია	საქმიანობის სახე	2020	2019
შპს „თ&რ დისტრიბუშენ აჭარა“	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%	100%
შპს „თ&რ დისტრიბუშენ იმერეთი“	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%	100%
შპს „თ&რ დისტრიბუშენ კახეთი“	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%	100%
შპს „თ&რ დისტრიბუშენ ხაშური“	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%	100%
შპს "თ და რ დისტრიბუშენ"	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%	100%
შპს "ბეტა"	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%	100%

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შპს "ბეტა"-ს და შპს "თ და რ დისტრიბუშენ"-ს არ განუხორციელებია საოპერაციო საქმიანობა.

კომპანიის მეწილეები: საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის მესაკუთრეთა წილობრივი სტრუქტურა შეიცვალა და ანგარიშგების თარიღისათვის, ისევე როგორც ანგარიშგების გამოცემის თარიღისათვის იყო შემდეგი:

- რაფიელ სურამელაშვილი 50%
- თემურ ჭყონია 50%

2. მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, ჯგუფი ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

საქართველოს ბიზნეს გარემო. ჯგუფი საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე. COVID-19 კორონავირუსის პანდემიამ კიდევ უფრო გაზარდა გაურკვევლობა ბიზნეს გარემოში.

2020 წლის პირველ თვეებში ჩინეთში წარმოშობილი ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების, COVID-19, გავრცელება დაიწყო გლობალურად, რაც აფერხებს ბიზნესსა და ეკონომიკურ აქტივობას. 2020 წლის მარტში „ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ“ მას პანდემიის სტატუსი მიანიჭა. ვირუსის გავრცელებამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა ეკონომიკურ აქტივობაზე მსოფლიო მასშტაბით.

2020 წლის მარტში მსოფლიო მასშტაბით მთავრობების უმეტესობამ (მათ შორის საქართველოშიც) დააწესეს სხვადასხვა სახის შეზღუდვები ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად. უმეტესწილად ეს იყო კარანტინის სახის შეზღუდვები, საზოგადოებრივი და კერძო ტრანსპორტირების შეზღუდვა, გარკვეულ ქვეყნებს შორის საჰაერო მიმოსვლის შეზღუდვა, საჯარო დაწესებულებების ფუნქციონირების შეზღუდვა, საჯარო სივრცეების უმეტესობის დახურვა.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას ჯგუფის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

კონსოლიდაციის საფუძველი. წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ამავე პერიოდის კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას და კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

შვილობილი კომპანიები. შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დამკვირვებლის უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

ჯგუფი ასახავს საწარმოთა გაერთიანებას შემენის მეთოდით, როცა კონტროლის უფლება გადმოდის ჯგუფზე. შეფასებული გადაცემული კომპენსაცია ზოგადად საჭიროებს სამართლიანი ღირებულებით შეფასებას, ისევე როგორც შემენილი იდენტიფიცირებადი აქტივები. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ელიმინირებულია შიდა ჯგუფური ნაშთები და ოპერაციები, ასევე, ყველა არარეალისტური შემოსავალი და ხარჯი, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალ საწარმოთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან. არამაკონტროლებელი წილი დგინდება შემენის თარიღისთვის შემენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციულად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის ჯგუფის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ყველა თანხის შეგროვებას თანხის ანაზღაურების მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

ინვესტიციები. არაკონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებში და არადაბრუნებად ჩვეულებრივ ან პრივილეგირებულ აქციებში განხორციელებული ინვესტიციები აღიარდება თვითღირებულებით, გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება.
- **დაუმთავრებელი მშენებლობა.** დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში შედის მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებული მასალები და შრომის ანაზღაურება; იმ ძირითადი საშუალებების ცვეთა, რომელიც მონაწილეობას ღებულობს მათ შექმნაში და ასევე სხვა სახის ზედნადები ხარჯები. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში ასევე შეყვანილია კონტრაქტორებისთვის გადახდილი ავანსები რაზეც მიმდინარეობდა სამუშაოები ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ ჯგუფს შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა ძირითად საშუალებად აღიარების შეწყვეტა.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობები	25
სატრანსპორტო საშუალებები	10-16
საოფისე ინვენტარი და სხვა ძირითადი საშუალებები	5-19

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს სავაჭრო უფლებებს და სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, ანუ როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ექსკლუზიური დისტრიბუციის უფლება	10 წელი
სხვა	5-10 წელი

მარაგები. ჯგუფის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველაწარმოებულ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

ჯგუფი მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შემენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც ჯგუფმა მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა ჯგუფს. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ

3. ნიშნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსის გადაფასება და საკუთრო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგრვა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. ჯგუფი აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, შემოსავლები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

- **საქონლის გაყიდვა.** გაყიდვა აღიარდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, ანუ როდესაც საქონელი მიეწოდება მომხმარებელს. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ადგილზე და საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი გადაეცემა მომხმარებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა.

სხვა შემოსავალი მოიცავს ისეთ შემოსულობას, რომელიც არ წარმოიქმნება საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, ასეთი შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ხდენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფი აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიურ გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და ჯგუფის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ ჯგუფს დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციებს.

5. ამონაგები რეალიზაციიდან

	2020	2019
ამონაგები სიგარეტის რეალიზაციიდან	154,812	162,928
ამონაგები სანთებლების რეალიზაციიდან	1,476	1,338
ამონაგები სხვა საქონლის რეალიზაციიდან	45	75
სულ ამონაგები რეალიზაციიდან	156,333	164,341

ამონაგები სხვა საქონლის რეალიზაციიდან მოიცავს ბრინჯისა და ყავის რეალიზაციას, რომელთა გაყიდვებიც ჯგუფმა 2019 წელს დაიწყო.

6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2020	2019
რეალიზებული სიგარეტის თვითღირებულება	(146,305)	(152,355)
რეალიზებული სანთებლების თვითღირებულება	(1,202)	(1,093)
რეალიზებული სხვა საქონლის თვითღირებულება	(34)	(59)
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(147,541)	(153,507)

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. კომერციული ხარჯები

	2020	2019
ხელფასები	(1,360)	(1,568)
საწვავის ხარჯი	(334)	(567)
ავტომობილის მომსახურების ხარჯები	(206)	(297)
ცვეთის ხარჯი	(151)	(113)
რეკლამა და მარკეტინგული ხარჯი	-	(47)
სულ კომერციული ხარჯები	(2,051)	(2,592)

8. ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
ხელფასები	(3,474)	(4,168)
საკონსულტაციო ხარჯები	(263)	(221)
დაზღვევა	(113)	(91)
იჯარის ხარჯი	(104)	(187)
ცვეთა და ამორტიზაცია	(89)	(341)
დაცვის ხარჯი	(86)	(65)
კომუნალური ხარჯები	(70)	(69)
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	(61)	(48)
ბანკის მომსახურების ხარჯი	(50)	(16)
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	(28)	(34)
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	(26)	(16)
მივლინების ხარჯები	(14)	(17)
რემონტის ხარჯი	(14)	-
სხვა ხარჯები	(179)	(237)
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	(4,571)	(5,510)

9. საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი სრულად უკავშირდება ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხზე დარიცხულ პროცენტს.

10. საპროცენტო ხარჯები

	2020	2019
საპროცენტო ხარჯი ადგილობრივი ბანკიდან მიღებულ სესხებზე	(282)	(402)
სხვა	(10)	(17)
სულ საპროცენტო ხარჯები	(292)	(419)

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობები და ნაგებობები	საოფისე და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა აქტივები	სულ ძირითადი საშუალებები
31 დეკემბერი 2018	349	483	477	1,649	165	3,123
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	5	41	370	14	430
გასვლა	-	-	(7)	(361)	(3)	(371)
31 დეკემბერი 2019	349	488	511	1,658	176	3,182
შემოსვლა წლის განმავლობაში	988	1,373	68	212	5	2,646
გასვლა	-	(3)	(116)	(118)	(61)	(298)
31 დეკემბერი 2020	1,337	1,858	463	1,752	120	5,530
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი 2018	-	(87)	(193)	(715)	(74)	(1,069)
წლის დარიცხული ცვეთა	-	(17)	(59)	(132)	(24)	(232)
გასვლები	-	-	2	142	3	147
31 დეკემბერი 2019	-	(104)	(250)	(705)	(95)	(1,154)
წლის დარიცხული ცვეთა	-	(35)	(56)	(146)	(15)	(252)
გასვლები	-	-	80	50	27	157
31 დეკემბერი 2020	-	(139)	(226)	(801)	(83)	(1,249)
ნარჩენი ღირებულება						
31 დეკემბერი 2019	349	384	261	953	81	2,028
31 დეკემბერი 2020	1,337	1,719	237	951	37	4,281

ჯგუფმა 2020 წლის განმავლობაში შეიძინა მიწა და შენობა-ნაგებობები მისამართზე საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, ჭირნახულის ქ., N2. ამავე ქონებაზე საანგარიშგებო წლის განმავლობაში კაპიტალურმა დანახარჯებმა შეადგინა 1,140 ლარი.

ჯგუფის ძირითადი საშუალებები სრულად არის ჩადებული სესხების უზრუნველყოფაში თიბისი ბანკის სასარგებლოდ.

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

12. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	ექსკლუზიური დისტრიბუციის უფლება	სხვა არამატერიალური აქტივი	სულ
31 დეკემბერი 2018	2,179	36	2,215
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	4	4
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2019	2,179	40	2,219
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	31	31
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2020	2,179	71	2,250
დაგროვილი ამორტიზაცია			
31 დეკემბერი 2018	(1,961)	(11)	(1,972)
წლის დარიცხული ამორტიზაცია	(218)	(4)	(222)
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2019	(2,179)	(15)	(2,194)
წლის დარიცხული ამორტიზაცია	-	(5)	(5)
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2020	(2,179)	(20)	(2,199)
ნარჩენი ღირებულება			
31 დეკემბერი 2019	-	25	25
31 დეკემბერი 2020	-	51	51

2010 წლის 1 იანვარს ჯგუფსა და „ბრიტიშ ამერიკან ტობაკო ჯორჯია ლიმიტედის საქართველოს, თბილისის წარმომადგენლობას“ (შემდგომში “BAT”) შორის გაფორმდა “განსაკუთრებული დისტრიბუციის” ხელშეკრულება, რომლის თანახმად ჯგუფი წარმოადგენს BAT-ის პროდუქციის ექსკლუზიურ დისტრიბუტორს საქართველოს ტერიტორიაზე. აღნიშნული უფლების მოპოვების ღირებულება აღიარდა არამატერიალურ აქტივად. ხელშეკრულების მიხედვით ექსკლუზიური დისტრიბუციის უფლება ჯგუფს გადაეცემა განუსაზღვრელი ვადით, რომელიც შეიძლება შეწყდეს მხარეების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ან დისტრიბუტორის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აღნიშნული ხელშეკრულებით აღიარებული განსაკუთრებული დისტრიბუციის უფლება სრულად იყო ამორტიზირებული.

2020 წლის 30 ოქტომბერს ჯგუფმა გააფორმა ხელშეკრულება უკრაინაში რეგისტრირებულ სააქციო საზოგადოება „A/T BAT-PRILUCKY TOBACCO COMPANY“-სთან პროდუქციის იმპორტთან დაკავშირებით. „ბრიტიშ ამერიკან ტობაკო ჯორჯია ლიმიტედის საქართველოს, თბილისის წარმომადგენლობას“-თან გაფორმებული ხელშეკრულებით ჯგუფი სარგებლობდა 2021 წლის იანვრის ჩათვლით, რის შემდგომაც თავად დაიწყო პროდუქციის იმპორტირება.

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. ინვესტიციები

კომპანია	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესი	429	329

ჯგუფი მსს ფასს-ის შესაბამისად ინვესტიციების აღრიცხვის მიზნით, იყენებს შემდეგ მიდგომას: - თვითღირებულება, გაუფასურების ზარალის გამოკლებით;

ჯგუფი ახორციელებს ინვესტიციებს სს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესში”. აქციების პირველი პაკეტის შეძენა ჯგუფის მიერ მოხდა 2012 წელს და შემდგომ ეტაპობრივად ხორციელდებოდა დამატებით აქციების შეძენა.

2020 წელს ჯგუფმა დამატებით შეიძინა აქციები და წლის ბოლოს კომპანიის წილი შეადგენს 17,5%-ს, ღირებულებით - 429 ლარი.

14. გაცემული სესხები

გრძელვადიანი სესხი

მსესხებელი	ვალუტა	განაკვეთი	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფიზიკურ პირზე გაცემული სესხი	ლარი	18%	2027	2,181	2,370
სულ გრძელვადიანი სესხები				2,181	2,370

მოკლევადიანი სესხები

მსესხებელი	ვალუტა	განაკვეთი	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფიზიკურ პირზე გაცემული სესხი	ლარი	18%	2021	180	159
იურიდიულ პირზე გაცემული სესხები	ლარი	13%-28%	2020	-	5
სულ მოკლევადიანი სესხები				180	164

15. მარაგები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
საქონელი	2,874	1,177
ნედლეული და მასალები	71	34
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	192	-
სულ მარაგები	3,137	1,211

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

16. საავაჭრო მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მოთხოვნები მიწოდებიდან	453	417
მოთხოვნა დაკავშირებული საწარმოებიდან	53	5
სულ საავაჭრო და სხვა მოთხოვნები	506	422
ანარიცხი უიმედო და საექვო მოთხოვნებზე	(360)	(367)
სულ საავაჭრო და სხვა მოთხოვნები ნეტო	146	55

უიმედო და საექვო მოთხოვნების რეზერვის მოძრაობა:

	2020	2019
ნაშთი წლის დასაწყისში	(373)	(349)
მოგება-ზარალში აღიარებული ცვლილება საავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის შექმნილ ანარიცხებზე	(20)	(24)
ნაშთი წლის ბოლოს	(393)	(373)

17. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული საბანკო ანგარიშზე	1,793	185
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	366	349
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	2,159	534

ნაღდი ფულის ნაშთი წარმოადგენს სალაროს ნაშთის ლიმიტს და ნაღდი ანგარიშსწორებით წლის ბოლოს დებიტორებიდან მიღებულ თანხებს რისი ინკასირებაც ვერ განხორციელდა.

18. კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

2019 წლის თებერვლიდან მშობელი კომპანია რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა დახურულ სააქციო საზოგადოებად, კომპანიას არ მოუხდენია კაპიტალის ზრდა ან დამატებითი აქციონერების მოზიდვა.

საზოგადოების კაპიტალი შეადგენს 200 ლარს და დაყოფილია 100 ჩვეულებრივ და 100 პრივილეგირებულ აქციადა. ერთი ჩვეულებრივი აქციის ფასი არის 1 ლარი, ასევე ერთი პრივილეგირებული აქციის ფასი არის 1 ლარი.

წესდებით არ არის დადგენილი წესი, რომელიც უზრუნველყოფს ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების უფლებათა სხვაგვარად განსაზღვრას.

2020 წლის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მშობელი კომპანიის მესაკუთრეთა წილობრივი სტრუქტურა შეიცვალა და ანგარიშგების თარიღისათვის, ისევე როგორც ანგარიშგების გამოცემის თარიღისათვის მეწილეები არიან: რაფიელ სურამელაშვილი (50%) და თემურ ჭყონია (50%).

დივიდენდები

2020 წლის განმავლობაში გამოცხადებულმა და გაცემულმა დივიდენდმა შეადგინა 633 ლარი. (2019: 668)

19. მიღებული სესხები

მოკლევადიანი სესხები

	პროცენტი	ვალუტა	სესხის ტიპი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ადგილობრივი ბანკებიდან ნასესხები სახსრები	11%-12%	ლარი	საკრედიტო ხაზი	3,331	960
სხვა საკრედიტო ორგანიზაციებიდან აღებული სესხების მიმდინარე ნაწილი	20%	ლარი	გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	15	77
სულ მოკლევადიანი სესხები				3,346	1,037

გრძელვადიანი სესხები

	პროცენტი	ვალუტა	სესხის ტიპი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
საბანკო დაწესებულებებიდან აღებული სესხები	რეფინანსირების განაკვეთს + 4.5%	ლარი	გრძელვადიანი სესხი	960	-
სხვა საკრედიტო ორგანიზაციებიდან აღებული სესხები	20%	ლარი	გრძელვადიანი სესხი	-	15
სულ გრძელვადიანი სესხები				960	15

ყველა სესხი ნომინირებულია ლარში. ბანკისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია ჯგუფის ძირითადი საშუალებებით, მარაგებით და აღნიშნული კომპანიების 100% წილებით.

ჯგუფის მიერ სს მისო ალფა ექსპრესისგან აღებული სესხები უზრუნველყოფილია თ & რ დისტრიბუშენ-ის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებებით, რომელთა ისტორიული ღირებულება შეადგენს 77 ლარს.

20. გადასახადები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც შემოღებულია ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღი. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

21. საფაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული ვალდებულება უმეტესად წარმოადგენს სანთებელების მომწოდებლის წინაშე არსებულ ვალდებულებას.

22. სხვა მიმდინარე ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ვალდებულებები ძირითადი საშუალებების მოწოდებიდან	44	-
ვალდებულება საპენსიო ფონდთან	22	19
სხვა	118	51
სულ სხვა მიმდინარე ვალდებულებები	184	70

23. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება ჯგუფის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ გაკეთებულა არანაირი რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს ჯგუფისომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

24. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

ტრანზაქციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან

	2020	2019
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები	2,173	2,178

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, რეპორტის გაცემის თარიღამდე ჯგუფმა გამოაცხადა და გასცა 526 ლარის ოდენობის დივიდენდი.

სს „თ & რ დისტრიბუშენ“
კონსოლიდირებული
მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

სს „თ&რ დისტრიბუცია“ რომელიც არის სააქციო საზოგადოება და მისი შვილობილი კომპანიები (შემდგომში „ჯგუფი“) რომლებიც არიან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, დაარსებული არიან და მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სს „თ&რ დისტრიბუშენ“ დაფუძნდა და საქმიანობა დაიწყო 2006 წელს.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით სს „თ&რ დისტრიბუშენის“ მესაკუთრეები არიან რაფიელ სურამელაშვილი (50%) და თემურ ჭყონია (50%).

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით სს „თ&რ დისტრიბუშენის“ დირექტორი იყო ზურა აღნიაშვილი.

ჯგუფის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები:

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს თამბაქოს ნაწარმის დისტრიბუცია და რეალიზაცია.

კომპანია შვილობილების დახმარებით ოპერირებს მთელი საქართველოს მასშტაბით. თბილისში საქონლის რეალიზაციას სრულად ახორციელებს სს „თ & რ დისტრიბუშენი“, ხოლო საქართველოს რეგიონებში საქონლის რეალიზაცია ხორციელდება შვილობილი კომპანიების მეშვეობით, რომლებიც ოპერირებენ რეგიონების მიხედვით

კომპანიის შემოსავლები ძირითადი მიმართულებების მიხედვით არის შემდეგი:

	2020	2019
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	156,333	164,341

არსებული პროდუქტები და მომსახურება, ბიზნეს პროცესები და სადისტრიბუციო მეთოდები.

კომპანიის გაყიდვების დიდი ნაწილი მოდის თბილისზე (63%). საქართველოს რეგიონებში მომარაგება და რეალიზაცია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ხორციელდება შვილობილი საწარმოების საშუალებით, როგორც დედა კომპანიას ასევე შვილობილ კომპანიებს საქმიანობის მასშტაბის შესაბამისად, გააჩნიათ საკუთარი ლოჯისტიკური ცენტრი და სადისტრიბუციო/სარეალიზაციო ხაზები, რიგ შემთხვევებში საჭიროების შესაბამისად ხდება ჯგუფის შიგნით დისტრიბუციაში გამოყენებული ძირითადი საშუალებების იჯარით გადაცემა.

ამონაგები კატეგორიების მიხედვით:

პროდუქციის სახეობა	2020	2019	ცვლილება %
შემოსავალი სიგარეტის რეალიზაციიდან	154,812	162,928	(5%)
შემოსავალი სანთებლების რეალიზაციიდან	1,476	1,338	10%
შემოსავალი სხვა საქონლის რეალიზაციიდან	45	75	(40%)
სულ	156,333	164,341	(5%)

კომპანიის სტრუქტურა.

საზოგადოების მმართველობის ორგანოებია:

- ა) საერთო კრება;
- ბ) სამეთვალყურეო საბჭო;
- გ) დირექტორები;

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ (გაგრძელება)

სამეთვალყურეო საბჭო წესდების შესაბამისად შედგება სამი წევრისგან: რაფიელ სურამელაშვილი; თემურ ჭყონია და ნიკა ზაუტაშვილი.

წესდების მიხედვით, საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებას სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევასა და გამოწვევაზე.

კომპანიის დირექტორი 2020 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის აპრილამდე იყო ზურა აღნიაშვილი, ხოლო აპრილიდან ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე-სოფიო ავალიანი.

წესდების მიხედვით სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს და ნებისმიერ დროს გამოიწვევს დირექტორებს, ასევე მათთან დებს და წყვეტს ხელშეკრულებებს.

სს „თ&რ დისტრიბუშენი“ თავის მხრივ ფლობს შემდეგ კომპანიებში წილებს:

კომპანიის დასახელება	საქმიანობის ტიპი	წილი
შპს "თ & რ დისტრიბუცია აჭარა"	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%
შპს "თ & რ დისტრიბუცია იმერეთი"	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%
შპს "თ & რ დისტრიბუცია ხაშური"	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%
შპს "თ და რ დისტრიბუშენ"	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%
შპს ბეტა	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%
სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესი	მიკროსაფინანსო ორგანიზაცია	17,50%

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შპს "ბეტა"-ს და შპს "თ და რ დისტრიბუშენ"-ს არ განუხორციელებია საოპერაციო საქმიანობა.

მშობელი კომპანიის მენეჯმენტი აქტიურად არის ჩართული ჯგუფში შემავალი კომპანიების როგორც სტრატეგიული, ასევე მოკლევადიანი საოპერაციო მიზნების ჩამოყალიბება-იმპლემენტაციის პროცესში.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2020 წლის შემოსავალმა შეადგინა 156,333 ლარი, ჯგუფის შემოსავლები 2019 წელს წინა წელთან შედარებით შემცირდა 5%-ით, რაც ძირითადად გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ საქართველოში თამბაქოს ნაწარმზე გაიზარდა აკციზის გადასახადი, ასევე 2020 წლის ეკონომიკური გარემოს გამო გაიზარდა სარეალიზაციო ფასები, რამაც თავის მხრივ გამოიწვია გაყიდვების შემცირება.

ძირითადი კოეფიციენტები:

	2020	2019
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.56	0.61
მოგების მარჟა	6%	7%
უკუგება კაპიტალზე (ROCE)	0.35	0.51
სულ აქტივები	12,859	7,093
სულ შემოსავლები	156,333	164,341
დასაქმებულთა საშუალო მაჩვენებელი	131	165

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: სს „თ&რ დისტრიბუშენის“ პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 123 დან 146-მდე. ჯგუფში საერთო დასაქმებულების საშუალო რაოდენობა 2020 წელს შეადგენდა 131-ს (2019-165). ჯგუფს აქვს კარგად განსაზღვრული დასაქმების პოლიტიკა და არჩევს მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატებს.

როგორც დამქირავებელი, პერსონალს სთავაზობს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს საიმისოდ, რომ პერსონალმა უზრუნველყოს საუკეთესო მომსახურება კლიენტებისთვის. განვითარებაზე ორიენტირებულ თანამშრომლებს ეძლევათ კარიერული წინსვლის და პროფესიული უნარების დახვეწის შესაძლებლობა, საქმიან სამუშაო გარემო და კონკურენტუნარიანი ხელფასი.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ჯგუფის მთავარი მომწოდებელია ბრიტიშ ამერიკან ტობაკო ჯორჯია ლიმიტედის საქართველოს, თბილისის წარმომადგენლობა.

„თ&რ დისტრიბუცია“ ბრიტიშ ამერიკან ტობაკოს -ს პროდუქციის ექსკლუზიური დისტრიბუტორია საქართველოს ტერიტორიაზე. კომპანია ახორციელებს პროდუქციის შესყიდვას და დისტრიბუციას საქართველოს მასშტაბით როგორც დიდ ქსელებზე, ასევე ბითუმად მოვაჭრეებზე და უბნის მაღაზიებზე.

ჯგუფი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ერთ მომწოდებელზე, დედა კომპანია და შვილობილი საწარმოები მომწოდებლის მხრიდან არიან მუდმივი მონიტორინგის და შეფასების ქვეშ. საოპერაციო ხარჯების, გაყიდვის გეგმების და სხვა სტრატეგიული საკითხების კუთხით მენეჯმენტს აქვს მუდმივი კავშირი ექსკლუზიურ მომწოდებელთან და რეგულარულად ხდება შედეგების შეფასება და მომავალი სამოქმედო გეგმების შეთანხმება.

2020 წლის 30 ოქტომბერს კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება უკრაინაში რეგისტრირებულ სააქციო საზოგადოება „A/T BAT-PRILUCKY TOBACCO COMPANY“-სთან პროდუქციის იმპორტთან დაკავშირებით. „ბრიტიშ ამერიკან ტობაკო ჯორჯია ლიმიტედის საქართველოს, თბილისის წარმომადგენლობას“-თან გაფორმებული ხელშეკრულებით კომპანია სარგებლობდა 2021 წლის იანვრის ჩათვლით, რის შემდგომაც თავად დაიწყო პროდუქციის იმპორტირება.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: ჯგუფი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არ ხვდება დამატებით რომელიმე სახელმწიფო უწყების რეგულირების სფეროში. ჯგუფმა ბოლო საგადასახადო შემოწმება გაიარა 2014 წელს.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

ჯგუფის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების და რენტაბელობის გაძლიერება, რა თქმა უნდა ასევე ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება და მუდმივი ზრუნვა მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე.

ამავდროულად იმის ხაზგასმა, რომ მომხმარებლებს იგი სთავაზობს სანდო მწარმოებლების მიერ დამზადებულ ფართო ასორტიმენტის პროდუქციას, რომელსაც ბაზარზე გააჩნია მაღალი ცნობადობა.

მუდმივად ცვალებადი ბაზრის პირობებში ჯგუფი ინარჩუნებს დისტრიბუციის მაღალ ეფექტურ ფოკუსს რათა უზრუნველყოს გაყიდვების მაქსიმიზაცია, საუკეთესო ბრენდები სხვადასხვა საფასო სეგმენტებში უზრუნველყოფს ჯგუფის პროდუქციის მაღალ პოპულარობას და გაყიდვების სტაბილურობას.

ჯგუფი მუშაობს იმისათვის რომ შეინარჩუნოს მომხმარებელთან საკომუნიკაციო არხები რათა მოხდეს ინოვაციური პროდუქტიაზე ინფორმაციის ეფექტური მიწოდება, განსაკუთრებით ეხება მომავალ ნაკლებ რისკიანი პროდუქციის შეთავაზებას რასაც აქვს დიდი წარმატება დასავლეთის ბაზრებზე.

არსებული მძიმე რეგულირების და დიდი კონკურენციის პირობებში დისტრიბუციის კადრების განვითარებას აქვს კრიტიკული მნიშვნელობა, რისთვისაც დაგეგმილია განვითარების პროგრამები.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2020 წელს ჯგუფი არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2020 წელს არ მომხდარა ჯგუფის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	2020	2019	გადახრის ახსნა
საერთო მოგება	8,792	10,834	შენიშვნა 1
მთლიანი აქტივები	12,854	7,093	შენიშვნა 2
მარაგები	3,137	1,211	შენიშვნა 2

შენიშვნა #1:

ჯგუფის საერთო მოგების შენეობა გამოწვეულია წლის განმავლობაში სარელიზაციო პროდუქციაზე ფასის ზრდით, რამაც გამოიწვია რეალიზებული პროდუქციის შემცირება.

შენიშვნა #2:

საქონლის ნაშთის ცვალებადობა გამომდინარეობს კონკრეტულ მომენტში ბაზარზე არსებული მდგომარეობიდან და ჯგუფის სტრატეგიიდან შეკვეთების ოპტიმალური მართვის მიმართულებით. მარაგების მართვის კუთხით ჯგუფის მთავარი მიზანია მომხმარებლისთვის პროდუქციის უწყვეტად მიწოდება და შეკვეთების განთავსება ბაზრის ტენდენციების გათვალისწინებით.

ამასთან ჯგუფმა 2020 წლის განმავლობაში შეიძინა მიწა და შენობა-ნაგებობები მისამართზე საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, ჭირნახულის ქ., N2. რაზეც დამატებით განახორციელა კაპიტალური დანახარჯები.

ამასთან ახალი კონტრაქტის ფარგლებში ჯგუფმა წლის ბოლოს განახორციელა მარაგების სატესტო იმპორტი.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

ჯგუფი საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

	2020	2019
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,729	3,723.5
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	15.9	17.7
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	4,275	4,763.5
მშპ-ის რეალური ზრდა, %	(6.2%)	5.1%
საშუალო წლიური ინფლაცია	5.2%	3.25%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	616.9	1,267.7
უმუშევრობის დონე, %	18.5%	11.6%

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. ჯგუფი საკრედიტო რისკს არ განიხილავს მნიშვნელოვნა რისკად, რადგან მომხმარებელს უმეტეს შემთხვევაში არ სთავაზობს პროდუქციის კრედიტით გაყიდვებს, მაქსიმალური საკრედიტო ლიმიტი კი შეადგენს ერთ კვირას. ჯგუფს შენარჩუნებული აქვს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და დაცულია არახელსაყრელი საკრედიტო რისკის ეფექტისაგან.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს არ წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, ვინაიდან ოპერაციები როგორც შესყიდვის-რეალიზაციის ასევე სასესხო, ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ყველა სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია და შესაბამისად ჯგუფი არ განიხილავს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას მნიშვნელოვან რისკად.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 30 სექტემბერს:

სოფიო ავალიანი
დირექტორი

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორობთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. ჯგუფი საკრედიტო რისკს არ განიხილავს მნიშვნელოვნა რისკად, რადგან მომხმარებელს უმეტეს შემთხვევაში არ სთავაზობს პროდუქციის კრედიტით გაყიდვებს, მაქსიმალური საკრედიტო ლიმიტი კი შეადგენს ერთ კვირას. ჯგუფს შენარჩუნებული აქვს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და დაცულია არახელსაყრელი საკრედიტო რისკის ეფექტისაგან.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტის ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს არ წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, ვინაიდან ოპერაციები როგორც შესყიდვის-რეალიზაციის ასევე სასესხო, ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ყველა სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია და შესაბამისად ჯგუფი არ განიხილავს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას მნიშვნელოვან რისკად.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 30 სექტემბერს:



სოფიო ავალიანი
დირექტორი

